



შუახევის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

დაბა შუახევი

N 06-893
04/12/2018

893-07-4-201812041612



ბავშვთა მიმართ ძალადობისა და ოჯახების მოწყვლადობის საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და ადგილობრივი მრჩეველთა საბჭოს სამუშაო ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის – ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის საფუძველზე ვბრძანებ:

1. შეიქმნას ბავშვთა მიმართ ძალადობისა და ოჯახების მოწყვლადობის საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი მრჩეველთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

1.1 შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარე;

1.2 შესაბამისი საარჩევნო ოლქიდან შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი, საბჭოს წევრი;

1.3 ა(ა)იპ „შუახევის სოციალური სერვისების ცენტრის“ დირექტორი – საბჭოს წევრი;

1.4 ა(ა)იპ „შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ დირექტორი, საბჭოს წევრი;

1.5 შუახევის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი განათლებისა და სპორტის საკითხებში, საბჭოს წევრი;

1.6 შსს შუახევის რაიონული სამმართველოს თანამშრომელი – შესაბამის დასახლებულ პუნქტში უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი;

1.7 სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ შუახევის რაიონული განყოფილების უფროსი, საბჭოს წევრი;

1.8 ა(ა)იპ „მაღალმთიანი აჭარის ახალგაზრდული კავშირის“ აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს წევრი;

1.9 საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

1.10 შესაბამის დასახლებულ პუნქტში უბნის ექიმი/ექთანი, საბჭოს წევრი;

1.11 შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელი.

2. დამტკიცდეს ბავშვთა მიმართ ძალადობისა და ოჯახების მოწყვლადობის საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი მრჩეველთა საბჭოს სამუშაო ინსტრუქცია თანდართული დანართის მიხედვით.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ბავშვთა მიმართ ძალადობისა და ოჯახების მოწყვლადობის საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და

ადგილობრივი მრჩეველთა საბჭოს სამუშაო ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ შუახევის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 19 ოქტომბრის №06-773 ბრძანება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ფუტკარაძე ფრიდონ



მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

ბავშვთა მიმართ ძალადობისა და ოჯახების მოწყვლადობის საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი მრჩეველთა საბჭოს სამუშაო ინსტრუქცია

მუხლი 1. შესავალი ნაწილი.

ბავშვთა მიმართ ძალადობისა და ოჯახების მოწყვლადობის საკითხებზე მომუშავე მრჩეველთა საბჭოს (შემდგომში ადგილობრივი საბჭო) მიზანია:

ა) ხელი შეუწყოს მეურვეობა-მზრუნველობის რეგიონული საბჭოსა (შემდგომში რეგიონული საბჭო) და ადგილობრივ საბჭოს შორის კოორდინაციის მექანიზმის ამუშავებას და მათ შორის მუდმივი კომუნიკაციის უზრუნველყოფას.

ბ) ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტში შემავალი ოჯახების მოწყვლადობის განმაპირობებელი ფაქტორების იდენტიფიცირებას და მოგვარებას ადგილობრივი რესურსებით და ამავე დროს მოხდინოს მულტისექტორული რეაგირება რეგიონულ საბჭოზე განხილულ, შუახვევის მუნიციპალიტეტის შემთხვევებზე საბჭოს რეკომენდაციების შესაბამისად.

გ) მშობლების, მზრუნველების მიერ ბავშვთა შრომის, ბავშვთა მიმართ ძალადობის, ოჯახების მოწყვლადობის განმაპირობებელი ფაქტორების აღმოფხვრისთვის, საჭირობოროტო საკითხების გამოკვეთა ბავშვთა შრომის, ბავშვთა მიმართ ძალადობის, ოჯახების მოწყვლადობის განმაპირობებელი ფაქტორების აღმოფხვრისთვის მუშაობა.

მუხლი 2. ადგილობრივი საბჭოს ამოცანები და ფუნქციები.

ადგილობრივი საბჭოს ამოცანები და ფუნქციებია:

ა) მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონული საბჭოს შეხვედრაზე მიღებული ინფორმაციის მრჩეველთა საბჭოსთვის წარდგენა, რეკომენდაციების აღსრულების პროცესის ერთობლივი დაგეგმვა და ჩატარებული სამუშაოს შესახებ უკუკავშირის მიწოდება;

ბ) პრევენციულ შემთხვევებზე მუშაობაში ჩართული უწყებების მონაწილეობით ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული რესურსების მობილიზება და მათი გამოყენებით მუშაობის დაგეგმვა;

გ) ადგილობრივი საბჭოს წევრებისაგან ინფორმაციის მიღება ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული მოწყვლადი ოჯახების შესახებ (ფოკუსით ბავშვთა მიმართ ძალადობა და ბავშვთა შრომა);

დ) ადგილობრივი საბჭოს ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ორგანიზაციული საკითხების მოგვარება.

მუხლი 3. ადგილობრივი საბჭოს მუშაობა.

1. რეგიონალურ საბჭოზე წამოჭრილი საკითხების შესაბამისად მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე, მრჩეველთა საბჭოს შეხვედრამდე, კრებს ინფორმაციას იმ წარმომადგენლისგან/უფროსი სპეციალისტიგან, რომლის თემიდანაც იყო რეგიონალურ საბჭოზე განხილული ოჯახი და იწვევს ამ წარმომადგენლს/უფროს სპეციალისტს მრჩეველთა საბჭოს შემდეგ შეხვედრაზე საკითხის განსახილველად.

2. ადგილობრივი საბჭო იკრიბება რეგულარულად თვეში ერთხელ, რეგიონული საბჭოს შეხვედრის შემდეგ სამი სამუშაო დღის ვადაში.

3. ადგილობრივი საბჭოს კოორდინირებას უწევს მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

4. ადგილობრივი საბჭოს ყოველი შეკრების შემდეგ დგება ოქმი, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი:

ა) მრჩველთა საბჭოზე განხილული საკითხები და მიღებულ გადაწყვეტილებები და აღსრულებაზე პასუხისმგებელ უწყებები და პირები, ვადები;

ბ) საკითხებთან დაკავშირებით თითოეული სექტორის მუშაობის გეგმა და მოსალოდნელი შედეგი;

გ) ოქმი უნდა შედგეს კრების დასრულებისთანავე და გაეგზავნოს ადგილობრივი საბჭოს წევრებს; დ) ადგილობრივი საბჭოს წევრებმა უნდა დაადასტურონ ოქმის სისწორე. ოქმი უნდა წარედგინოს მერს ადგილობრივი საბჭოს კრების დასრულებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში.

5. რეგიონალურ საბჭოზე წამოჭრილი საკითხების შესაბამისად ადგილობრივი საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში თავმჯდომარე), ადგილობრივი საბჭოს შეხვედრამდე კრებს ინფორმაციას იმ წარმომადგენლისგან/სპეციალისტიგან, რომლის რომლის ადმინისტრაციული ერთეულიდანაც იყო რეგიონალურ საბჭოზე განხილული ოჯახი და იწვევს ამ წარმომადგენლს/ სპეციალისტს ადგილობრივი საბჭოს შემდეგ შეხვედრაზე საკითხის განსახილველად.

6. შეხვედრაზე შესაბამის წარმომადგენელს/სპეციალისტს ასევე იწვევს იმ შემთხვევაშიც, თუ ადგილობრივი საბჭოს წინა შეხვედრაზე სხვა სექტორების მიერ წამოიჭრა საკითხი მოწყვლადი ოჯახის შესახებ (ან მოწყვლადობის რისკის წინაშე მყოფი - განსაკუთრებით ბავშვთა მიმართ ძალადობის და/ან ბავშვთა შრომის რისკებით) განსახილველად, ამ წარმომადგებლის ადმინისტრაციულ ერთეულში.


7. ადგილობრივი საბჭოს კრებაში ჩართულია ყველა წევრი.

მუხლი 4. სხვა დებულებანი.

1. ადგილობრივი საბჭოს მუშაობა არ ანაზღაურდება.

2. ადგილობრივი საბჭოს მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს შუახევის მუნიციპალიტეტის მერია.

ფუტკარაძე ფრიდონ


მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა